მონიტორინგის ანგარიში № 05 - 2021

ორგანიზაციის დასახელება	შპს " Maritime Lloyd"
აუდიტორები	მარია პოლიაკოვა, დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, , ნინო ასათიანი, ქრისტინე ახალაძე
აუდიტის თარიღი	12-11-2021
მისამართი	საქართველო, ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა 34, ბინა 3
აუდიტის ტიპი	გეგმიური მონიტორინგი
წინა აუდიტის თარიღი	22-11-2019

<u>განმარტებები:</u>

შეუსაბამობა - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
შენიშვნა - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.
რეკომენდაცია - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

შესავალი:

მიმდინარე წლის 12 ნოემბერს საქართველოს საზღვაო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით გეგმიური მონიტორინგი ჩაუტარდა აღიარებულ ორგანიზაციას. მონიტორინგი ითვალისწინებდა ასევე 2019 წლის 22 ნოემბერს მონიტორინგის დროს დაფიქსირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების აღმოფხვრის ადგილზე გადამოწმებას.

2019 წლის მონიტორინგის შენიშვნების შესრულების სტატუსი:

2019 წლის 22 ნოემბერს ჩატარებული მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ იქნა სულ: 1 შენიშვნა და 1 რეკომენდაცია.

ხარისხის მართვის სისტემის კუთხით შენიშვნები/შეუსაბამობები არ აღმოჩენილა, ხოლო დანარჩენი შენიშვნა და რეკომენდაცია აღმოფხვრილია/გათვალისწინებულია.

შედეგები:

1. **ხარისხის მენეჯერი**

   2020 წლის 17 თებერვლიდან ორგანიზაციას აყვანილი ჰყავს ხარისხის მენეჯერი. ხარისხის მენეჯერს გააჩნია საერთაშორისო სტანდარტებთან 15 წლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება რეზიუმეში ასახულ ინფორმაციას. შემოწმდა მისი პირადი საქმე. საქმეში განთავსებულია (სამუშაო აღწერილობა / რეზიუმე / სერტიფიკატები - მოდელ კურსი 3-19 - გემის უშიშროების ოფიცერი / მოდელ კურსი 3-20 - კომპანიის უშიშროების ოფიცერი / მოდელ კურსი 3-21 – Port Facility Security Officer / STCW 78/2010; SAI Global – Team Leader in QMS - სერტიფიკატი - N 26612).

   შენიშვნა არ გაგვაჩნია.

2. **ხელმძღვანელობის შემაჯამებელი მიმოხილვა**

   ML-QSP-023 - განხილვის პერიოდი: 01.09.2019 – 31.12.2020 / ჩატარების თარიღი: 01.02.2021. შემაჯამებელ მიმოხილვაში მითითებულია რომ ხარისხის პოლიტიკაში განხორციელდა ცვლილებები - 01.06.2020 და განისაზღვრა პოლიტიკა უშიშროების, რისკის უშიშროების შეფასების გეგმაში, გარემოს დაცვის სფეროში. წარმოდგენილია ხელმოწერილი დოკუმენტი ხარისხის პოლიტიკის შესახებ - 01.06.2020 - ხელმოწერილია და ბეჭედდასმულია დირექტორის მიერ. წარმოდგენილ იქნა ცალკე დოკუმენტი 2020 წლის გაზომვადი მიზნები: მაგალითად: 1. Decrease of the detention rate per year as minimum for 10% / 2. Increase of the quantity of registered vessels at least for 5% / 3. Maintain average rate of customers' satisfaction not less than 4 score in comparison with the previous analyzed calendar year / 4. TO become authorized RO of the various Flag State Authorities as minimum one per year / 5. Increase awareness on Georgia Market. შემაჯამებელ მიმოხილვაში მიზნებთან დაკავშირებით წერია ზოგადი ფრაზა, რომ 03.09.2019 მიზნები ნაწილობრივ იქნა შესრულებული. შემდგომში წერია, რომ 2020 წლის ახალი მინზებია დამტკიცებული. მიმოხილვაში არ ჩანს 2020 წლის მიზნების შესრულების სტატუსი. ჩამოთვლილია 2020 წლის 4 გაზომვადი მიზანი, რომელიც 2020 წლის მიზნების დოკუმენტში 5 მიზანს შეიცავს. ხარისხის მენეჯერის განმარტებით, დოკუმენტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა და რეალურად ეს ეხებოდა 2021 წლის მიზნებს. შემაჯამებელ მიმოხილვაში ჩამოთვლილი მიზნები ემთხვევა 2021 წლისთვის დამტკიცებულ მიზნებს. თუმცა არ ჩანს 2020 წლის მიზნების შესრულების სტატუსი. დირექტორის მოადგილემ წარმოადგინა 1-ელ მიზანთან დაკავშირებით KPI-სტატისტიკა, სადაც ჩანს რომ 1-ლი მიზანი არ შესრულდა - დაკავების მაჩვენებელი შეადგენს 14%, მიზანი იყო არაუმეტეს 10%-ისა.

   ფიქსირდება შენიშვნა: ხარისხის მართვის სისტემის ისო 9001:2015 9.3.2. c) 2) - მოითხოვს, რომ შემაჯამებელ მიმოხილვაში წარმოდგენილ იქნას მიზნების შესრულების პროგრესი. „ნაწილობრივ შესრულებული" - ტერმინი განზოგადებულია და არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, კონკრეტული მიზნის შესრულების ან/და შეუსრულებლობის სტატუსის შესახებ.

3. ხელმძღვანელობის შემაჯამებელი მიმოხილვა

ISO 9001:2015 ხელახალი სერტიფიკატი მიღებულია 15/07/2020 წელს. სერტიფიკატის ნომერი: 084. შემაჯამებელ მიმოხილვაში აუდიტის შედეგებთან დაკავშირებით წერია, სულ რამდენი შიდა თუ გარე აუდიტი აქვთ გავლილი. შიდა აუდიტთან დაკავშირებით მითითებულია რომ დაფიქსირებული 2 შეუსაბამობიდან ორივე შესრულდა. შემოწმებისას დადასტურდა ორივე საკითხის შესრულება (იხ. შიდა აუდიტის პუნქტი).

შენიშვნა არ ფიქსირდება.

4. მომხმარებლის შეფასება

შემაჯამებელი მიმოხილვის დოკუმენტში მითითებულია, რომ 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე მიღებულია 10 კითხვარი, რომლის შეფასება დადებითია. ფიქსირდება მექანიკური შეცდომა, რადგან გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ 2020 წლის განმავლობაში 15 კომპანიას აქვს მოწოდებული შეფასების კითხვარი, ხოლო 2019 წელს - 12-ს, რაც ჯამში 27 კომპანიას შეადგენს.

ეძლევათ რეკომენდაცია: შემაჯამებელი მიმოხილვა არის ზოგადი და არ იძლევა ზუსტ სტატისტიკას ან/და ანალიზს. არ არის მითითება კონკრეტულ დოკუმენტებზე, რომლებიც წარმოადგენენ მტკიცებულებას შესაბამის პუნქტებთან მიმართებაში.

5. შიდა აუდიტი

წარმოდგენილია შიდა აუდიტის განრიგი ML-QSP-009 / შეუსაბამობის ანგარიში N47 - ეხებოდა ხარისხის სახელმძღვანელოს და ხარისხის პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას და KPI-ს ცვლილებას. ხარისხის სახელმძღვანელო დამტკიცდა 01.07.2020 / ხარისხის პოლიტიკა - 01/06/2020 - KPI-ს სისტემა დაინერგა.

შენიშვნა არ ფიქსირდება.

6. რისკები

წარმოდგენილია SWOT ანალიზი, რომელსაც თან ახლავს რისკების რეესტრი ML-QSP-031 / სადაც თემატურად ჩამოთვლილია რისკები და მათი შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებით ერთერთი რისკად მითითებულია: ხარისხის მიზნების შეუსრულებლობა - რომელიც გამოიწვევს დაინტერესებული მხარეების უკმაყოფილებას. ასევე, რისკების რეესტრში ჩამოთვლილი შესაძლებლობები თანხვედრაშია - შემაჯამაბელ მიმოხილვაში (ML-QSP-023) განხილულ შესაძლებლობებთან: მაგალითად: Good PSC performance factor of PARISMOU and BSMOU gives opportunity to attract new surveyor's, customers. ასევე მითითებულია ახალი რისკი, რომელიც დაკავშირებულია პანდემიასთან.

შენიშვნა არ ფიქსირდება, აღნიშნული ფასდება დადებითად.

7. KPI

KPI-დანერგილი აქვთ. წარმოდგენილია 4 ძირითადი მაჩვენებელი: KPI detentions / KPI incidents / KPI fleet removed / KPI deficiencies - რომელიც გაანგარიშდება KPI-ს წონიდან და მიზნიდან გამომდინარე. ამ ეტაპისთვის KPI-ს პერიოდული შეფასების სისტემა არ არის

ჩამოყალიბებული, რა პერიოდში ერთხელ უნდა გადაიხედებოდეს ან/და რომელ პროცესს ეკუთვნის.

ეძლევათ რეკომენდაცია: აღიწეროს რომელიმე პროცესში და ამით მოხდება მათი შეფასების პერიოდის გაკონტროლება.

8. ორგანიზაციული სტრუქტურა

შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ეკუთვნის Leadership ML-QSP-014 - პროცედურას, თუმცა ორგანიზაციული სტრუქტურა არ არის იდენტიფიცირებული. ასევე, შემაჯემებელი მიმოხილვის დოკუმენტში (ML-QSP-023) ლიკა ქათამაძე - აღნიშნულია როგორც დირექტორის მოადგილე. ორგანიზაციულ სტრუქტურაში აღნიშნულია როგორც შიდა აუდიტორი, რომელიც ექვემდებარება ხარისხის მენეჯერს. ML-QSP-014 პროცედურაში აღწერილი ხარისხის პოლიტიკა არ შეესაბამება განახლებულ პოლიტიკას, რომელიც დამტკიცდა 01.06.2020.

ფიქსირდება შენიშვნა:

9. სერვის პროვაიდერების პროცედურა

სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იქნა აღიარებული ორგანიზააცის მიერ აღიარებული/ავტორიზებული სერვის პროვაიდერების მონაცემები და აღიარების პროცედურა, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად: ჰიდრავლიკური გამოცდები, სამაშველო ტივების შემოწმება, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების (ცეცხლმაქრის) შემოწმება და სხვა. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი პროცედურა აღიარება /ავტორიზაციასთან დაკავშირებით, სადაც წერია რომ ისინი აღიარებენ IACS მიერ აღიარებულ სერვის პროვაიდერებს, მაგრამ არ არის შესაბამისი ჩანაწერები არა IACS მიერ აღიარებულ სერვის პროვაიდერებთან დაკავშირებით, არ არის განსაზღვრული შესაბამიის აღიარების პირობები და ვალდებულებები. პროცესი არის დასახვეწი სადაც გაიწერება დეტალურად აღიარების პირობები და კრიტერიუმები.

ფიქსირდება შენიშვნა.

10. აღიარებული ორგანიზაციის ვებ-გვერდი.

საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44^{13} , მე-3 პუნქტის შესაბამისად აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდი, სადაც უნდა განათავსოს ინფორმაცია გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების, გაუქმების შესახებ, გეგმური შემოწმების, რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი, კლასისთვის მიკუთვნებული გემების ექსპლუატაციის პირობები და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ. აღიარებულ ორგანიზაციის ვებ-გვერდიზე არ არის განთავსებული შესაბამისი ინფორმაციები. საჭიროა განხორციელდეს ვებ გვერდის სრულყოფილად სრულ შესაბამისობაში მოყვანა სადაც განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია, ასევე ორგანიზაციას შეუძლია შექმნას ვებ გვერდზე მოდული რომელზეც წვდომა ექნება სააგენტოს საქართველოს დროშით მცურავი გემების ინფორმაციათან დაკავშირებით.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

11. სააგენტოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების (ბრძანება, ცირკულარი და სხვა) გაცნობირება

სააგენტოდან შესაბამისის დოკუმენტის მიღების შემდეგ ორგანიზაციაშია ხორციელდება დოკუმენტის გაცნობა თანამშრომლებში და აფიქსირებენ შესაბამის საბუთში ხელმოწერით.

ფასდება დადებითად.

12. RO CODE – 2.3 დამოუკიდებლობა /ინტერესთა კომპლიქტი

აღიარებული ორგანიზაცია და მისი პერსონალი არ უნდა ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ დამოუკიდებლობას, რომელიც დაკავშირებულია გემების სავალდებულო სერტიფიცირებასთან და თანხმლებ მოქმედებებთან. ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება პერსონალის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

13. შემომწმებლები (surveyor)

ორგანოზაციაში მუშაობს 2 შემმომწმებელი და 1 ISM აუდიტორი და ასევე აღიარებული ჰყავთ 16 უცხოელის შემმომწმებელი, რომელიც ემსახურება სხვადასხვა დროშის ადმინისტრაციას. ქართული დროშით მცურავ გემებს გამოყოფილი არის 3 შემომწმებელი რომლებიც ადგილზე მუშაობენ- საქართველოში. შემმომწმებლები კატეგორიებათ არ აქვთ დაყოფილი, შესაბამისი გემების მიხედვით. ასევევ ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გაუვლიათ საერთო/გენერალური ტრეინინგი რომელიც დაკავშირებული იქნებოდა საერთაშორისო კონვენციებთან რომელიც პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულია გემის შემოწმებასთან/ინსპექტირებასთან, ტრეინიგი რომელიც დაგეგმილი იყო 2020 წელს მხოლოდ შეეხებოდა ISO სტანდარტებს.

ფიქსირდება შენიშვნა.

14. მცურავი საშუალების საქმე

შემოწმდა მცურავი საშუალება „Cadet" ის შემოწმების აქტები და მასზე გაცემული სერთიფიკატები, შემოწმდა სურვეერების სახელმძღვანელო ჩეკლისტები რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ მცურავი საშუალების წლიური/შუალედური დამოწმება/შემოწმების დროს, ასევე შემოწმდა სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა სიდიდის გემებზე რა დასახელების სერთიფიკატებს გასცემს ორგანიზაცია.

აღნიშნული ფასდება დადებითად.

დასკვნა:

2021 წლის 12 ნოემბერის მონიტორინგმა დაადასტურა, რომ საკლასიფიკაციო საზოგადოება დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, თუმცა საჭიროებს კადრების დატრეინინგებს რომელიც დაეხმარება ახალი და განახლებული საერთაშორისოს კონვენციების მოთხოვნების გაცნობიერებაში, ასევე ორგანიზაციაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა პასუხობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

საკლასიფიკაციო საზოგადოებაში დანერგილი სისტემა ეფექტურად მუშაობს. ორგანიზაცია გადადგამს ნაბიჯებს სისტემის გაუმჯობესებისთვის, მონიტორინგის ჯგუფი საერთო ჯამში დადებითად აფასებს ორგანიზაციის სისტემას და განვითარებაზე ორიენტირებას, ორგანიზაციას უგრძელდება აღაირება სააგენტოს მიერ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე

ირაკლი სირაბიძე

მარია პოლიაკოვა

ქრისტინე ახალაძე

ანგარიშის გაიგზავნა საქართველოს ფოსტით: წერილის N: 04/2748

15/12/2021